შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 225/21

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„26“ ივლისი 2021წ

კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის II ჩიხი, №5, შ.პ.ს. „კარკასი“-ს (ID: 430029015) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.818 IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიას და მის მომიჯნავე შენობებს, IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის დასადგენად. ასევე განხილული იქნა ასაშენებელი საპროექტო შენობის:

1. კონსტრუქციული ნაწილი, წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით.
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „LIRA -SAPR 2020 R2“-ის საშუალებით.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული, „П“-ს ფორმისაა, შეჭრებით და ნაშვერებით. საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა შედგება ორი ბლოკისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ტემპერატურულ-სადეფორმაციო და ანტისეისმური ნაკერით 800მმ, ნაკერი მოწყობილია „6“ და „7“ ღერძებს შორის. პირველი ბლოკის გაბარიტული ზომები „ა“-„0“ და „1“-„6“ ღერძებს ღერძებს შორის შეადგენს: 42,40X23,30მ. მეორე ბლოკის გაბარიტული ზომები „დ“-„ლ“ და „7“-„11“ ღერძებს ღერძებს შორის შეადგენს: 33,30X24,90მ.

სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს 3,30მ, მიწისზედა სართულების სიმაღლე შეადგენს 3,30. შენობის მალები ცვალებადობს 4,50÷7,20მ ფარგლებში.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა, ხისტი კვანძებით.

პირობით ნიშნულს (I სართულის იატაკის დონეს) ±0.00-ს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული +465,20მ საპროექტო შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 110სმ; საძირკვლების ფილის ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ. B-7,5 კლასის ბეტონისაგან და 120სმ სისქის შრეობრივად (25-30სმ) დატკეპნილი მდინარის ხრეში (დატკეპნის კოეფიციენტი K=0,97–0,98); საპროექტო ქვაბულის ძირის მაქსიმალური ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან შეადგენს: 5,50 მეტრს, მინიმალური 2,5 მეტრს.

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:
- სეისმურობა 8 ბალი (MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება A=0.17g)
- ქარის ნორმატიული დაწნევა 85კგძ/მ^2;
- თოვლის საფარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2;
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია ხელოვნური ფუძე, 120სმ სისქის შრეობრივად (25-30სმ) დატკეპნილი მდინარის ხრეში (დატკეპნის კოეფიციენტი K=0,97–0,98) საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში: Ro=3,0კგ/სმ^2, დეფორმაციის მოდული E=240კგ/სმ^2

<u>საპროექტო ტერიტორიაზე ასაშენებელ ობიექტს:</u>
<u>ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან:</u>

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, აკაკი ვასაძის ქუჩა, №18ბ, კერძო თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.243, მდებარე შენობა №1/13. შენობა №1/13 თოთხმეტსართულიანია (13 მიწისზედა და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა №1/13 მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.243 მდებარე შენობა №1/13-მდე შეადგენს 30,0 მეტრს.

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, გლდანის ა მკრ. ვეკუას ქუჩა, სპორტკომპლექსის მიმდებარედ, კერძო თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.165, მდებარე შენობა №01/13. შენობა №01/13 თოთხმეტსართულიანია (13 მიწისზედა და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა №01/13 მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.2165 მდებარე შენობა №01/13-მდე შეადგენს 25,0 მეტრს.

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ქუჩა ვეკუა, №6, უკან, (ნაკვეთი 18/080) სახელმწიფოს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.080, მდებარე სპორტული მოედანი, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია. შემდეგ ესაზღვრება, ქალაქი თბილისი, ქუჩა ვეკუა, №6, უკან, (ნაკვეთი 18/081) კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.081, მდებარე სპორტული მოედანი, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია.

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, გლანის „ა“ მიკრო/რაიონი, ხიზანიშვილის ქუჩის მიმდებარედ, დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.271, მდებარე არასაცხოვრებელი, ხის ფარდულის ტიპის დაურეგისტრირებელი შენობა №01/1. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, განხილვის თვალსაზრისით საყურადრებო მანძილზე (20მ და ნაკლები), შენობა-ნაგებობები არ დგას.

<u>ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან:</u>

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ხიზაბავრის II ჩიხი, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ხიზაბავრის ქუჩა, №25 ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, №25, მიმდებარედ, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.822, მდებარე შენობა №01/2. შენობა №01/2 სამსართულიანია (2 მიწისზედა და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა №01/2 მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.822 მდებარე შენობა №01/2-მდე შეადგენს 25,0 მეტრს.

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ხიზაბავრის II ჩიხი, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, №27, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.148, მდებარე შენობა №01/2. შენობა №01/2 სამსართულიანია
(2 მიწისზედა და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა №01/2 მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.148 მდებარე შენობა №01/2-მდე შეადგენს 25,0 მეტრს.

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ხიზაბავრის II ჩიხი, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ხიზაბავრის ქუჩა, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთები, საკადასტრო კოდით: №01.11.12.018.012; №01.11.12.018.821; №01.11.12.018.027 შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია.

ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, განხილვის თვალსაზრისით საყურადრებო მანძილზე (20მ და ნაკლები), შენობა-ნაგებობები არ დგას.

<u>სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან:</u>

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, №5, კერძო თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.066, მდებარე შენობა №2/4. შენობა №2/4 ხუთსართულიანია (4 მიწისზედა და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა №2/4 მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.066 მდებარე შენობა №2/4-მდე შეადგენს 21,0 მეტრს.

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, №14-ის მიმდებარედ, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.202 მდებარე მშენებარე შენობა №1. შენობა №1 ცამეტსართულიანია (12 მიწისზედა და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა №1 მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე
№ 01.11.12.018.202 მდებარე მშენებარე შენობა №1-მდე შეადგენს 12,0 მეტრს. საკმაო დაშორებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო შენობის საძირკვლების ძირის ნიშნული განთავსებულია მომიჯნავე, მშენებარე შენობა №1-ის არსებული საძირკვლების დაახლოებით თანაბარ ნიშნულზე, საპროექტო IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.202 მდებარე მშენებარე შენობა №1-ის არსებული ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას.

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, (ნაკვ.18/26), კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.026, მდებარე შენობა №01/2 შენობა №01/2 ოთხსართულიანია (2 მიწისზედა, მანსარდის და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა №01/2 მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.026 მდებარე შენობა №2/4-მდე შეადგენს 30,0 მეტრს.

<u>სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან:</u>

ნაწილში ესაზღვრება: ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, შემდეგ ესაზღვრება: ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრის, №13, კერძო თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.025 მდებარე მშენებარე შენობა №1/5. შენობა №1/5 ექვსსართულიანია (5 მიწისზედა და სარდაფის სართულით), კონსტრუქციული სქემის

3.5

მიხედვით მშენებარე შენობა №1/5. მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან, მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.025 მდებარე შენობა №1/5-მდე შეადგენს 13,0 მეტრს. საკმაო დაშორებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო შენობის საძირკვლების ძირის ნიშნული განთავსებულია მომიჯნავე, მშენებარე შენობა №1/5-ის არსებული საძირკვლების დაახლოებით თანაბარ ნიშნულზე, საპროექტო IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე № 01.11.12.018.025 მდებარე მშენებარე შენობა №1/5-ის არსებული ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას.

<u>დასკვნა:</u>

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქი თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის II ჩიხი, №5, შ.პ.ს. „კარკასი“-ს (ID: 430029015) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.11.12.018.818 IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, როგორც მშენებლობის, ასევე ნაგებობის შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში, არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების არსებული ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/





ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.-ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძე

ვახტანგს

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა

სახელმწიფო ორდენოსანი

და 1985 წელს დაამთავრა

სრული კურსი სპეციალობით

და სახელმწიფო

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. მაისის 29 დადგენილებით

კვალიფიკაცია.

ქალაქი თბილისი 19 86 წ. 29 « 05

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе

Вахтангу

в том, что он в 1980 году поступил

в Государственный ордена

и в 1985 году окончил полный курс


по специальности

Решением Государственной экзаменационной комиссии от 29 мая 1985 г.

присвоена квалификация

Председатель Государственной экзаменационной комиссии

м. п. Город Тбилиси 29 « 05 1986 г.





ინფორმაცია საპროექტო და სამშენებლო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ე. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი N01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/



0

შეთავაზებული სპეციალისტის ბიობრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	35 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	20 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2020წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	26.07.2021წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე



სახელმწიფო ლიცენზია

სლც№ 4177

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

ეძლევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „შავი ხი XXI"

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა ლიცენზია გაცემულია

11122004წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლეჟავა

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა,
რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა
შპს-ს „ბაზისი XXI“

1. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):*
   - საცხოვრებელი შენობები:
   ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
   - საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
   ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული საშუალო სირთულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სამრეწველო ობიექტები:
   ა. მცირე სიმძლავრის.
3. *პროექტების ექსპერტიზა:*
   - საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე

შპს "საბაზისო XXI" LTD * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296